

სენსაციური საჩუქარი - **პრომო აქცია** - მსოფლიო მათემატიკურ კონკურს „კენგურუს“ მონაწილეებს!

**ძვირფასო ბავშვებო!** საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარმა“ საუკეთესო საჩუქარი მოგი-  
მზადათ 2018 წლის კონკურსისათვის - ვაცხადებთ **სენსაციურ პრომო აქციას:**

**„დარეგისტრირდი ახლავე, მიიღე ფასდაკლება!“**

2018 წელს მსოფლიო მათემატიკურ კონკურს „კენგურუში“ მონაწილეობის სარეგისტრაციო საფასურია:

- 1) ა/წ 16 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით - **12 ლარი;**
- 2) ა/წ 16 დეკემბრიდან 2018 წლის 4 იანვრის ჩათვლით - **14 ლარი;**
- 3) 2018 წლის 5 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით - **16 ლარი;**
- 4) 2018 წლის 25 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით - **18 ლარი;**
- 5) 2018 წლის 14 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით - **20 ლარი;**
- 6) 2018 წლის 6 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით - **25 ლარი.**

**ძვირფასო მშობლებო,** თუ სწრაფად მიიღებთ გადაწყვეტილებას და თქვენს შვილს დღესვე დაარეგისტრირებთ კონკურსზე, მოგეცემათ უნიკალური შესაძლებლობა მის განათლებაში ჩადოთ უმცირესი ინვესტიცია და მცირედი დანახარჯით გადადგათ ნაბიჯი მისი ნათელი მომავლისაკენ!

**„მათემატიკური კენგურუს“ ანატომია**

**რატომ უნდა მიიღოთ „მათემატიკურ კენგურუში“ მონაწილეობა?** - იმიტომ, რომ იგი აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ყველაზე სახალისო, ყველაზე საინტერესო და ყველაზე სასარგებლო მათემატიკურ კონკურსად; „კენგურუ“ მსოფლიოში ყველაზე მასობრივი კონკურსიცაა: 2017 წლის მარტში მასში მსოფლიოს **81 ქვეყნის 7 მილიონამდე მოსწავლე** მონაწილეობდა.

**ძვირასო ბავშვებო,** გვერწმუნეთ, „კენგურუსთვის“ მზადება და მასში მონაწილეობის მიღება თქვენი რეალური **წარმატების ფორმულა გახდება! როგორ?** - თუ თქვენ მთელ სასწავლო წელს ინტენსიურად იმუშავებთ **„კენგურუს“ უნიკალურ** ამოცანებზე, ამაღლდება თქვენი ინტელექტი, შეგიყვარდებათ ფიქრი, გამოგიმუშავდებათ ანალიზის უნარი, ჩამოგიყალიბდებათ ლოგიკური და სხარტი აზროვნება. სწორედ ამიტომაც **კონკურს „კენგურუს“ კონკურენტი არ ჰყავს არათუ საქართველოში, არამედ - მსოფლიოშიც!**

სამწუხაროდ, ზოგჯერ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს „კენგურუში“ მონაწილეობის მიღებას. რატომ?-

**ფაქტი 1 - ერთნი იმიტომ,** რომ ინფორმაცია არა აქვთ როდის და სად ტარდება „კენგურუ“, როგორ უნდა დარეგისტრირდნენ კონკურსზე;

**პასუხი** - მიმდინარე სასწავლო წელს ადრიახად დავიწყეთ ინფორმაციის გავრცელება. ვიმედოვნებთ, რაიონული რესურს ცენტრები დაგვეხმარებიან, რათა საქართველოს ყველა სკოლამდე მივიღეს ინფორმაცია. დარეგისტრირების წესები იხილეთ ამ ვებგვერდზე.

**ფაქტი 2 - მეორენი იმიტომ,** რომ ფიქრობენ „კენგურუ“ მხოლოდ წარმატებული მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი.

**პასუხი** - ნამდვილად არა, რამეთუ „კენგურუს“ დევიზია: **„მათემატიკა - ყველასათვის!“.**

კონკურსში გარკვეული წარმატების მოპოვება ყველა მოსწავლეს შეუძლია, თუნდაც დაბალი შეფასება ჰქონდეს სკოლაში; მთავარია მოზარდის სხარტი და ნათელი გონება, რამეთუ „კენგურუს“ ამოცანები არ არის სასწავლო პროგრამებთან სრულ შესაბამისობაში.

**ფაქტი 3 - მესამენი იმიტომ**, რომ მონაწილეობის მისაღებად სარეგისტრაციო საფასურის გადახდა უჭირდათ.

**პასუხი** - მიმდინარე სასწავლო წელს ასოციაცია „ბალავარის“ ხელშეწყობით **სენსაციური აქცია** იწყება: პირველი 30 დღის განმავლობაში დარეგისტრირებულთათვის სარეგისტრაციო საფასური მხოლოდ **12 ლარია!** მომდევნო 20 დღის განმავლობაში - **14 ლარი** და ა.შ.

ინფორმაცია მათთვის, ვინც პირველად იღებს „კენგურუში“ მონაწილეობას. გაგაცნობთ „კენგურუს“ განსაკუთრებულ უპირატესობებს რესპუბლიკურ კონკურსებთან შედარებით:

1. „კენგურუს“ ამოცანები ყველა რესპუბლიკური კონკურსისაგან განსხვავებული, **უნიკალური, სახალისო და საინტერესოა**. რატომ? - იმიტომ, რომ მათ **ერთობლივად ქმნიან მსოფლიოს 81 ქვეყნის გამოჩენილი მათემატიკოსები**; „კენგურუს“ ამოცანები არ არის სხვადასხვა კრებულებიდან ამოღებული და რესტავრირებული, როგორც ეს საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა კონკურსში ხდება(!); ყოველწლიურად კონკურს „კენგურუსათვის“ ახალი, ლამაზი და სახალისო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ამოცანები იქმნება.
2. „კენგურუში“ მონაწილეობა იმითაც არის საინტერესო, რომ **კონკურსში გამარჯვებულებს ჯილდოდ გადაეცემათ ევროპის ქვეყნების**(საფრანგეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვ.) **ზაფხულის საერთაშორისო ბანაკების საგზურები**. ასეთ საჩუქარს, ცხადია, ვერც ერთი რესპუბლიკური კონკურსის მონაწილე ვერ მიიღებს! ასოციაცია „ბალავარმა“ უკვე **150-მდე** ბავშვს გადასცა ეს ჯილდო.
3. ყველა სიკეთესთან ერთად, „კენგურუ“ კომფორტული კონკურსიც არის - იგი **წელიწადში მხოლოდ ერთხელ(ერთ ტურად) ტარდება** და გამარჯვებულებიც იმ ერთადერთ ტურზე ვლინდებიან!

**მვირფასო ბავშვებო, პედაგოგებო, მშობლებო**, გირჩევთ, სწრაფად მიიღეთ კონკურსში მონაწილეობის გადაწყვეტილება, **დარეგისტრირდით დღესვე და ისარგებლოთ საუკეთესო ფასდაკლებით!**

მსოფლიო მათემატიკური კონკურსი „კენგურუ“ **2018 წლის 17 მარტს** ჩატარდება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერი სკოლის ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს **მე-2-დან მე-12 კლასის** ჩათვლით.

კონკურსის ჩატარების ადგილებს, კონკურსამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე გაცნობებთ.

**მვირფასო კეთილი ნების ადამიანებო!** გთხოვთ, ინფორმაცია საერთაშორისო კონკურს „კენგურუს“ შესახებ მიაწოდოთ სკოლის ასაკის ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რათა მათ გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და ასახელონ საქართველო, კონკურსში გამარჯვებულებმა კი, სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან ერთად, იხალისონ ევროპის საზაფხულო ბანაკებში დასვენებით!

**შეუერთდით მსოფლიოს „კენგურუსთან“ ერთად!**

კონკურსის ორგანიზატორი საქართველოში: საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარი“